

ინგა ჯიბუტი

იხე-/იხე- რუსული წინსართებით ნაწარმოებ ტერმინთა ქართულად გადმოცემის საშუალებანი

ცნობილია, რომ რუსულ ენაში დამკვიდრებული წინსართები **იხე-/იხე-** აწარმოებს გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებს რისამე მოცილების, მოკლების, წართმევის მნიშვნელობით. ამასთანავე, იმავე ენაში არის ზმნა **обеспечиваю**, რომელიც ნაწარმოებია ინფინიტივისაგან: **обеспечивать**, ოღონდ სხვა მნიშვნელობით:

1. რაღაცით (სურსათით) მომარაგება, რაღაცის მიწოდება;
2. სავსებით შესაძლებელი, რეალურად შესასრულებელი; რაღაცის გარანტია.

ეს მნიშვნელობები რუსულში სემანტიკურ გადახრად ითვლება. აქვე შეიძლება დაემატოს რუსულ ენაში დადასტურებული **обескуражить** – თავგზის დაბნევა, შეფიქრიანება, ყველა სხვა შემთხვევაში **იხე-/იხე-** წინსართებით ნაწარმოები სახელები რისამე წართმევის, მოცილების მნიშვნელობით იხმარება.

ქართულ ლექსებათა ტერმინირებისას სემანტიკური გადახრის ნიმუშებს არ ვხვდებით, პირიქით: ის მნიშვნელობები, რომლებიც ძირითადად, აქ მთლიანად დასტურდება. ამ აფიქსაციის სემანტიკური ტენდენციები კარგად ჩანს ქვემოთ განსახილველ ტერმინოლოგიურ მასალაში. იგი საგანგებო შესწავლას საჭიროებს, რადგან ეს აფიქსაცია ტერმინოლოგიური ლექსიკის გასამდიდრებლად გამოიყენება და სხვა აფიქსების შესაძლებლობათა გამოვლენის საკითხსაც სვამს.

ტექნიკური ტერმინოლოგიის ბოლო, 1977 წლის გამოცემაში **იხე-/იხე-** წინსართებით ნაწარმოები ტერმინებია:

Обезвismучивание ბისმუთის მოცილება, გაუბისმუთოება

Обезволашивание ტყავის დამუშავებისას ტყავზე ბეწვ(ებ)ის მოშორება, თმ(ებ)ის გაცლა

Обезжирование ცხიმის გაცლა, ცხიმგაცლა, გაუცხიმოება

Обезмеживание სპილენძის მოცილება, გაუსპილენძოება

Обезуглероживание ნახშირბადის მოცილება, გაუნახშირება-

დოება

Обесточивание დენის წართმევა, გაუდენურება
Обесшумливание ხმაურის მოსპობა, გაუხმაურება
Обеспыливание მტვრის მოცილება, გაუმტვერულება
Обессеребривание გაუვერცხლოება და ა. შ. (მაგალითები

დამოწმებულია ტექნიკური ტერმინოლოგიის 1935, 1957, 1977 წლების გამოცემების მიხედვით).

თ. კანდელაკი **обез-/обес-** წინსართიან ტერმინთა ორ მნიშვნელობას გამოყოფს: 1. მოცილება, გამოცლა, წართმევა, დაკარგვა (რაზედაც ზემოთ გვექონდა მსჯელობა); 2. რაოდენობრივი შემცირება, კონცენტრაციის დაკლება იმ ნივთიერებისა, ელემენტისა თუ მასალისა, რომელიც ამ რთული სიტყვის ამოსავალი სახელური ფუძითაა გადმოცემული (Канделаки 1969: 167.).

როგორც უნდა იყოს პროცენტულად ეს დაკლება, დაკარგვა, გამოყოფა, წართმევა (მთლიანი თუ ნაწილობრივი), ისევე როგორც ზოგი სემანტიკური გადახრა, რომელიც **обеспечить** სიტყვის მაგალითზე იყო ნაჩვენები, ძირითადად **обез-/обес-** ზმნისწინიან სიტყვათა მნიშვნელობა მაინც ერთგვაროვანია და პრინციპულად არ ეწინააღმდეგება ზემოთ მოყვანილ განსაზღვრას.

Обез-/обес- წინსართიან ფორმათა ქართულ ენაზე გადმოსაცემად სხვადასხვა საშუალება გამოიყენება. სპეციალური ტერმინოლოგიური ლექსიკონების მიხედვით, სულ ოთხი გზაა არჩეული:

- 1) *აღწერით გადმოცემა*: **обезглавление** თავის მოჭრა, **обеззубеть** უკბილოდ დარჩენა და ა. შ.
- 2) *კომპოზიცია*, ანუ *რთული ტერმინების შედგენა*; **обезводить**, **обезвоживание** წყალგაცლა, **обезвредить**, **обезвреживание** გაუვნებლება, უვნებელყოფა, – **обезопасить** უშიშარყოფა და ა. შ.
- 3) *საერთაშორისო ტერმინების (ე. წ. ინტერნაციონალიზმების) გამოყენება*: **დეზაქტივაცია**, **დეგაზაცია**, **დეზოდორაცია**, **დეზინფექცია**, **დეჰიდრატაცია**, **დეიონაზაცია** და სხვ.
- 4) *სიტყვაწარმოება* – ტერმინების შექმნა ქართულის სიტყვაწარმოების საფუძველზე: **გაუწყელება**, **გაუმტვერულება**, **გაუფერულება**, **გაუწებურება** და სხვ.

ჩამოთვლილი შემთხვევებიდან პირველი ტიპი შედარებით იშვიათად გვხვდება. საერთაშორისო ტერმინები ძირითადად სინონიმურ დუბლეტებს ქმნიან ქართულ შესატყვისებთან ერთად. მათ გვერდით გვაქვს ქართული ეკვივალენტიც: **დეჰიდრატაცია** და **გაუწყლოება**; **დეგომაცია** და **გაუწებურება**; **დეჰაქტივაცია** და **გაუაქტივება**; **დეზოდორაცია** და **სუნგაცლა**; **დეიონიზაცია** და **განიონება**; **დეაერაცია** და **გაუჰაერობა**; **დეფოსფორაცია** და **გაუფოსფორობა**; **დეკარბონიზაცია** და **გაუნახშირზადობა**; **დესულფურაცია** და **გაუფოგირდობა**; **დევულკანიზაცია** და **განვულკანიზება**; **დეემულსაცია** და **განემულსიება**, **დეპარაფინიზაცია** და **გაუპარაფინობა** და ა. შ. ამ მიზნით გამოიყენება **გა-ზმნისწინი-ებ** თემის ნიშანთან ერთად. თითო-ოროლა შემთხვევაში გვაქვს **გან-ზმნისწინით** ნაწარმოები ტერმინებიც: **გან-ვულკანიზ-ება**, **გან-ემულსი-ება**.

ტერმინოლოგიაში ყველაზე ფართოდ გამოყენებულია სიტყვაწარმოების გზა: **გაუწყლოება**, **გაუმტვერულება**, **გაუაქტივება**, **გაუაირიანება**, **გაუთუთიობა**, **გაუკაჟბადობა**, **გაუმტვერულება**, **გაუსპილენძობა**, **გაუფოსფორობა**, **გაუქლორობა**, **გაუცხიმობა**, **გაუჰაერობა** და მისთ. ამ ტიპის ტერმინთა აგებულება ქართულში, თავის მხრივ, რთულია, რამდენადაც ეს ტერმინები ორგზისი ან სამგზისი წარმოებისაა. მათ საწარმოებლად ჯერ აღებულია მარტივი ძირი – წყალი, დენი, გოგირდი, ქლორი, კაჟბადი, სპილენძი და ა. შ.; აქედან იწარმოება უარყოფითი მნიშვნელობის მქონე მიმართებითი ზედსართავი სახელები (**უ-წყლ-ო**, **უ-დენ-ო**, **უ-გოგირდ-ო**, **უ-ქლორ-ო**), რის შემდეგაც მიიღება მოქმედების აღმნიშვნელი სახელი, გაფორმებული სათანადო ზმნური ელემენტებით: **გა-უ-წყლ-ო-ება** (და მისგან მიღებული ნამყოს მიმდგობა **გა-უ-წყლ-ო-ებ-ულ-ი**).

ამ ტერმინთა სირთულეს წარმოების მრავალსაფეხურებრიობა კი არ განაპირობებს, არამედ ამოსავალი ფუძის წარმოების სიჭრელე. გვაქვს ოთხი სახის წარმოება.

1) **უ – ო წარმოება:**

გა-უ-წყლ-ო-ება, **გა-უ-ცხიმ-ო-ება**, **გა-უ-გოგირდ-ო-ება**, **გა-უ-კაჟბად-ო-ება**, **გა-უ-ქლორ-ო-ება**.

2) უ – ურ || უ – ულ წარმოება:

გა-უ-დენ-ურ-ება

გა-უ-ფის-ურ-ება

გა-უ-მტვერ-ულ-ება

გა-უ-ფერ-ულ-ება დისიმილაციით

გა-უ-ფოსფორ-ულ-ება

3) უ – ოვან წარმოება:

გა-უ-პირ-ოვან-ება

გა-უ-სნებ-ოვან-ება

4) ოდენ უ- პრეფიქსით წარმოება:

გა-უ-ნახშირბად-ება

გა-უ-ხმაურ-ება

გა-უ-ბეწვ-ება

გა-უ-გოგირდ-ება

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები მასდარული ფორმებია. ყოველი მათგანისაგან იწარმოება მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმებიც. მაგ.

გა-უ-გოგირდ-ება

გა-მა-უ-გოგირდ-ებ-ელ-ი

გა-უ-მტვერ-ება

გა-მა-უ-მტვერ-ებ-ელ-ი

გა-უ-ნახშირბად-ება

გა-მა-უ-ნახშირბად-ებ-ელ-ი

გა-უ-დენ-ება

გა-უ-დენ-ებ-ულ-ი და ა. შ.

ზემოხსენებულ ფორმებს პირველად ვხვდებით „რუსულ-ქართულ ტექნიკურ ლექსიკონში (სიტყვარი)“, რომელიც საქართველოს ტექნიკურმა საზოგადოებამ 1920 წელს გამოსცა. თავდაპირველად გამოვიდა რუსულ-ქართული ნაწილი, ხოლო ამ წიგნის მეორე შევსებული გამოცემა (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ნაწილი) 1921 წელს დაიბეჭდა. ამ ლექსიკონის შემდგენლები იყვნენ რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეები.

1935 გამოცემულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში -**ინეა/ინეც** რუსული წინსართებით ნაწარმოებ ტერმინთა სიმცირე შეიმჩნევა. ეს გამოცემა დაედო საფუძვლად ტექნიკური ტერმინოლოგიის მომდევნო გამოცემებს, რომლებშიც იმავე რუსული წინსართებით ნაწარმოები ტერმინები უფრო დიდი ინტენსიურობით გამოიყენება.

ცალკე უნდა შევეხოთ წარმოების ისეთ ტიპებსაც, რომლებიც ადრე გამოცემულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში (1920, 1921 წწ.) გვხვდება:

გა-უ-აირ-იან-ება

გა-უ-წყლ-ად-ება

გა-უ-ფერ-ად-ება

აქედანვე ნამყოს მიმღეობაც: გა-უ-აირ-იან-ებ-ელ-ი
გა-უ-წყლ-ად-ებ-ელ-ი
გა-უ-მ-ფერ-ად-ებ-ელ-ი

ესენი პირობითად არიან გაერთიანებული, თორემ აგებულება დიფერენცირებულია. ამჟამად შეინიშნება უნიფიკაციის ტენდენცია. ძველი, ნაკლებ შესაფერისი წარმოებანი შეცვლილია უფრო სწორად გამართული წარმოებით. კერძოდ, აღარ გვაქვს ფორმები: გა-უ-წყლ-ად-ება, გა-უ-ფერ-ად-ება, გა-უ-ფერ-ება და მისთანანი. წარმოების ძირითად ტიპად მიჩნეულია ამოსავალი ფუძის უ – ო-თი წარმოება.

გვაქვს: გა-უ-წყლ-ო-ება (ნაცვლად გა-უ-წყლ-ად-ებ-ისა)
გა-უ-ბეწვ-ო-ება (ნაცვლად გა-უ-ბეწვ-ებ-ისა)
გა-უ-ცხიმ-ო-ება (ნაცვლად გა-უ-ცხიმ-ებ-ისა)
გა-უ-გოგირდ-ო-ება (ნაცვლად გა-უ-გოგირდებ-ისა)
გა-უ-ნახშირბად-ო-ება (ნაცვლად გა-უ-ნახშირბად-ებ-ისა)

მსგავსადვე იწარმოება სხვა ტერმინებიც, რომლებიც ტექნიკური ტერმინოლოგიის 1977 წლის გამოცემაში დასტურდება.

გა-უ-ბისმუთ-ო-ება

გა-უ-წებ-ო-ება

გა-უ-კაჟბად-ო-ება

გა-უ-სპილენძ-ო-ება

გა-უ-ვერცხლ-ო-ება

გა-უ-ქლორ-ო-ება

გა-უ-თუთი-ო-ება

გა-უ-ლამ-ო-ება და ა. შ.

წარმოების ეს მოდელი დღეს ყველაზე მეტადაა გავრცელებული, თუმცა ერთგვარობა სავსებით მიღწეული არაა: აღნიშნული წარმოების გვერდით გვხვდება (შედარებით იშვიათად)

უ-ურ || -ულ-ით წარმოებაც, მაგალითად:

გა-უ-დენ-ურ-ება (ნაცვლად გა-უ-დენ-ო-ებ-ისა)

გა-უ-ფის-ურ-ება (ნაცვლად გა-უ-ფის-ო-ებ-ისა)

გა-უ-მტვერ-ულ-ება (ნაცვლად გა-უ-მტვერ-ო-ებ-ისა)

გა-უ-ფერ-ულ-ება (ნაცვლად გა-უ-ფერ-ო-ებ-ისა) (მაგალითები მოყვანილია ტექნიკური ტერმინოლოგიის 1977 წლის გამოცემიდან).

რამდენიმე მაგალითში გვხვდება ამგვარი წარმოებაც:

გა-უ-პირ-ოვნ-ება

გა-უ-სნებ-ოვნ-ება

პირველი უკვე დამკვიდრებულია, ხოლო მეორე მისი ანალოგიითაა ნაწარმოები.

ყველა ამ ტიპის მაგალითი, რომლებიც ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების კუთვნილებაა, სასურველია ერთი, საერთო მოდელის მიხედვით იყოს გამართული. ამ შემთხვევაში არ უნდა მოვერიდოთ იმ ერთგვარ ხელოვნურობას, რომელიც ამ რიგის ტერმინებს ახასიათებს. ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება ძირითადად ემყარება სიტყვაწარმოებით სისტემას ქართული სალიტერატურო ენისას, რომელიც თავისი ლექსიკის გასამდიდრებლად იყენებს ყველა იმ (სემანტიკურ, მორფოლოგიურ და მორფოლოგიურ-სინტაქსურ) საშუალებას, რომლებითაც ივსება, ვითარდება და იხვეწება საერთო სალიტერატურო ენა. იგი იმავდროულად შეიმუშავებს საკუთარ სიტყვაწარმოებით ქვესისტემას, სპეციფიკურ წესებსა და მოდელებს, რომლებიც განასხვავებს მას საერთო სალიტერატურო ენისაგან. ამას განაპირობებს ტერმინოლოგიური ლექსიკის სპეციფიკური ფუნქცია.

ტერმინოლოგიურ მასალაზე საგანგებო დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ტერმინოლოგიური დანიშნულებით ჩვეულებრივია მაწარმოებელ აფიქსთა სპეციალიზაცია, ანუ ენაში არსებულ აფიქსთა ისეთი მნიშვნელობით გამოყენება, რომელიც უცხოა სალიტერატურო ენისათვის.

ლიტერატურა

Канделаки 1969 – Т. Л. Канделаки, О терминах типа „обескислороживание“, в кн.: Современные проблемы терминологии в науке и технике, М.

ტექნ. ლექს. 1920-21 – რ. ნიკოლაძე, გ. ნიკოლაძე, „ტექნიკური ლექსიკონი“ (სიტყვარი), თბილისი.

ტექნ. ტერმ. 1935 – ტექნიკური ტერმინოლოგია (ავტორთა კრებული), თბილისი.

ტექნ. ტერმ. 1957 – ტექნიკური ტერმინოლოგია (ავტორთა კრებული), თბილისი.

უახლ. ტექნ. ტერმ. – უახლესი ტექნიკური ტერმინოლოგია (მზადდება გამოსაცემად).

ჩუბინაშვილი 1846 – დ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი.

რქლ 1937 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

რქლ 1956 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, სამტომეული, თბილისი.

რქლ 1983 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ტექნ. ტერმ. 1977 – ტექნიკური ტერმინოლოგია, თბილისი.

ღამბაშიძე 1981 – რ. ღამბაშიძე, პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი.